დაიჯესტი

9 - 15 ივლისი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

აშშ-ს შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის (DHS) მთავარმა მონიტორმა განაცხადა, რომ DHS-ს „მეტის გაკეთება შეუძლია შიდა ტერორიზმის საფრთხეების მოსაგვარებლად“. ახალ 29-გვერდიან მოხსენებაში გაჟღერდა განცხადებები, რომლებიც მოჰყვა ბოლოდროინდელი მასობრივი სროლების ტალღას, რამაც შეძრა ქვეყანა და გააჩინა კითხვები ფედერალური სამართალდამცავი ორგანოების რეაგირების ირგვლივ. გასულ თვეში, შტატის ნაფიცმა მსაჯულებმა ბუფალოში, სუპერმარკეტში მომხდარ თავდასხმაში დამნაშავე პეიტონ გენდრონს სიძულვილით მოტივირებული შიდა ტერორიზმის ბრალდებასთან ერთად პირველი ხარისხის მკვლელობის 10 მუხლის გათვალისწინებითაც წაუყენეს ბრალი. დეპარტამენტის საპასუხოდ, აშშ-ს საშინაო უსაფრთხოების მდივნის მოადგილემ სტრატეგიის, პოლიტიკისა და გეგმების საკითხებში, რობერტ სილვერსმა ასევე პირობა დადო, რომ მომავალი წლის ივნისისთვის შეიმუშავებს შიდა ტერორიზმის შესახებ ეროვნული სტატისტიკას. DHS-ის სპიკერის განცხადებით, დეპარტამენტი ჩაატარებს შესაბამის სამუშაოებს გენერალური ინსპექტორის წინადადებების განხორციელებისათვის. სპიკერის განცხადებით, გასული წლიდან DHS აწარმოებს ბიულეტენებს და სხვა პროდუქტებს, რათა ამერიკელებს მიაწოდოს სათანადო ინფორმაცია გარემოსა და ტერორისტული საფრთხეების შესახებ, მათ შორისაა ექვსი ეროვნული ტერორიზმის საკონსულტაციო სისტემის (NTAS) ბიულეტენები, რომლებიც ავრცელებდნენ ინფორმაციას საფრთხეების შესახებ და „გაზრდილი საფრთხის პირობებში უსაფრთხოდ დარჩენის რესურსების შესახებ“.

ბუფალოს სუპერმარკეტში 10 შავკანიანი ადამიანის მკვლელობაში ბრალდებულს ხუთშაბათს ბრალი წაუყენეს ათობით დანაშაულში. პეიტონ გენდრონს, 19 წლის, ბრალი ედება 14 მაისს ტოპსის სუპერმარკეტში, ბუფალოში, ნიუ-იორკში, 10 ადამიანის მკვლელობასა და სამის დაჭრაში, რასაც გამოძიების ფედერალურმა ბიურომ უწოდა „რასობრივად მოტივირებული ძალადობრივი ექსტრემიზმის აქტი“. იუსტიციის დეპარტამენტის ცნობით, გენდონს ბრალი წაუყენეს 27 ბრალდებაში - 14 სიძულვილის დანაშაულის ბრალდება და 13 ცეცხლსასროლი იარაღის ბრალდება. საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ გენდონმა, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს 18 წლის იყო, „დანაშაული ჩაიდინა ტერორისტული აქტის წინასწარი განზრახვისა და დაგეგმვის შემდეგ“. „იუსტიციის დეპარტამენტი სრულად აცნობიერებს საფრთხეს, რომელსაც თეთრკანიანთა ძალადობა უქმნის ამერიკელი ხალხისა და ამერიკული დემოკრატიის უსაფრთხოებას“ - თქვა გენერალურმა პროკურორმა მერიკ გარლანდმა განცხადებაში.

ევროკავშირი

გასულ წელს ევროპაში 400-ზე მეტი ტერორისტი გაასამართლეს, ხოლო ევროპის კრიმინალურმა სააგენტომ გამოავლინა 15 თავდასხმა, დაგეგმილი ან განხორციელებული, მათ შორის, ბომბით. ტერორიზმთან დაკავშირებით თავის ბოლო ანგარიშში ევროპოლმა განაცხადა, რომ 432 ადამიანი გაასამართლეს ტერორისტულ დანაშაულებში და კიდევ 388 ეჭვმიტანილი დააკავეს 2021 წელს. დაკავებულთა ორი მესამედი დაკავშირებული იყო ავტრიაში, საფრანგეთსა და ესპანეთში ისლამისტური ტერორისტული დანაშაულების გამოძიებასთან. გასულ წელს ოთხი განხორციელებული ტერორისტული თავდასხმიდან სამი იყო ისლამისტი მებრძოლების მიერ, ერთი კი

მემარცხენე ჯგუფის მიერ, მათ შორის, დანით დარტყმა, ცეცხლის წაკიდება და ხალხში შეჭრა მანქანის გამოყენებით. ევროპოლის აღმასრულებელმა დირექტორმა კეტრინ დე ბოლემ გამოყო ჯიჰადისტურ და მემარჯვენე ძალადობრივ ექსტრემიზმთან დაკავშირებული მარტოხელა აქტორების საფრთხე და აღნიშნა, რომ ისინი ჯერ კიდევ იწვევენ ევროკავშირის წევრი ქვეყნებისა და ევროპოლის შეშფოთებას.

გაერთიანებული სამეფო

სტუდენტის ოჯახი, რომელსაც ბრალად ედება 16000 ფუნტის ღირებულების კონტრაბანდული საქონლის გადატანა ISIS-ის წევრის, წარსულში ISIS-ის ქსელის "Beatles" მძევლების ბანდის წევრისთვის, ადანაშაულებს დაჯგუფების წევრს, აინე დეივისს თავიანთი შვილის ცხოვრების დანგრევაში, რადგან პოლიცია რამდენიმე დღეში მის დიდ ბრიტანეთში დაბრუნებას აპირებს. აინე დევისის გათავისუფლება გუშინ იყო დაგეგმილი თურქეთის უმაღლესი უსაფრთხოების ციხიდან ISIS-ის წევრობისთვის 7,5-წლიანი პატიმრობის მოხდის შემდეგ. ქვეყანაში შესვლისთანავე მას ავტომატურად დაპატიმრება და კონტრტერორისტული ოფიცრების მიერ დაკითხვა ელოდება, თუმცა, იურიდიული წყაროების განმარტებით, მისთვის ახალი ბრალდებების წაყენების შანსები მცირეა, რაც გულისხმობს, რომ 38 წლის დევისი სავარაუდოდ გათავისუფლდება.

დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო დაზვერვის კომიტეტმა ოთხშაბათს განაცხადა, რომ ულტრამემარჯვენე ტერორიზმის საფრთხე მატულობს იმის კვალდაკვალ, რომ ინდივიდები ხშირად ცდილობენ შეუერთდნენ სამხედროებს, ხოლო ჯგუფები ხშირად ჯარიდან ცდილობენ რეკრუტირებას. თავის მხრივ, სამხედრო გამოცდილება ულტრამემარჯვენე ტერორისტულ ჯგუფებში ლეგიტიმაციის წყაროა, ნათქვამია პარლამენტის დაზვერვისა და უსაფრთხოების კომიტეტის განცხადებაში.

საფრანგეთი

პარიზის მახლობლად მდებარე ციხის შედარებით კომფორტულ პირობებში მყოფი 37 წლის პატიმარი, ემილი კონიგი, რომელსაც ოდესღაც საშიშ ტერორისტად ასახელებდნენ, საუბრობს „დედისა და ქალის" როლის აღდგენაზე. მან თითქმის ხუთი წელი გაატარა ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, სპარტანელი ქურთების დაკავების ბანაკში. ემილი კონიგი, ხუთი შვილის დედა, რომელთაგან სამი სირიაში დაიბადა, იმ 16 ფრანგ ქალს შორის იყო, რომელიც შვილებთან ერთად ამ კვირაში საფრანგეთში დაბრუნდნენ. მას საკუთარი ქმედებებისათვის პასუხისგება ეკისრება 2012 წლიდან, მას შემდეგ რაც დაეშს შეუერთდა. პროკურატურამ მას ბრალი ტერორისტულ შეთქმულებაში მონაწილეობაში წაუყენა. ის მიიჩნევა, როგორც მთავარი პროპაგანდისტი და რეკრუტორი, რომელიც Ummu Tawwab-ის სახელით ავრცელებდა მოწოდებებს ფრანგულ სამიზნეებზე თავდასხმისკენ. კონიგი ამტკიცებს, რომ ის შეიცვალა. მისი ადვოკატის განცხადებით, პატიმარი მზაობას გამოთქვამს ხელისუფლებასთან თანამშრომლობაზე და აღიარებს მათთვის მიყენებულ ზარალს. ამის მიუხედავად, წარსულში კონიგი არ

თვლიდა, რომ რაიმე დანაშაულისთვის ბრალი მიუძღოდა და შესაბამისად, დაპატიმრებას არ იმსახურებდა.

ფრანგი ოფიციალური პირები პარასკევს გაემგზავრებიან ნიგერში, რათა ხელახლა განსაზღვრონ ქვეყნის სტრატეგია საჰელში ისლამისტ ბოევიკებთან საბრძოლველად, რამდენადაც ათასობით ჯარისკაცი უკვე გავიდა მალიდან და შეინიშნება შეშფოთება დასავლეთ აფრიკის სანაპირო ქვეყნებისკენ მიმართული მზარდი საფრთხის გამო. მალიში, ჩადსა და ბურკინა ფასოში გადატრიალებებმა შეასუსტა საფრანგეთის ალიანსები მის ყოფილ კოლონიებში, გაათამამა ჯიჰადისტები, რომლებიც აკონტროლებენ უდაბნოსა და ტყიანი რაიონის/ბუჩქნარების დიდ ნაწილს და კარი გაუღო რუსეთის უფრო დიდ გავლენას. შეშფოთებები გაიზარდა იმის გამო, რომ 2400 ფრანგი ჯარისკაცის გასვლა მალიდან - ძალადობის ეპიცენტრი საჰელის რეგიონში და ალ-კაიდასა და დაეშის ფილიალების ციხესიმაგრე - გააუარესებს ძალადობას, ხელს შეუწყობს მეზობლებს შორის დესტაბილიზაციასა და მიგრაციას. იმის კვალდაკვალ, რომ ჯარების გაყვანა, სავარაუდოდ, დასრულდება ზაფხულის ბოლოს, საფრანგეთის ახალი საგარეო საქმეთა მინისტრი კატრინ კოლონა და თავდაცვის მინისტრი სებასტიან ლეკურნუ პარასკევს ჩადიან ნიგერში, რაღა დაამტკიცონ რეგიონული გადაჯგუფება, დისლოკაციის შეცვლა.

ბელგია

პარიზის ტერაქტებში მსჯავრდებული სალაჰ აბდესლამი, იმ უჯრედის ერთადერთი გადარჩენილი წევრი, რომელმაც 130 ადამიანი მოკლა, ბელგიაში გადაიყვანეს, რათა სხვა თავდასხმასთან დაკავშრებული ახალი ბრალდებები წაუყენონ. 32 წლის აბდესლამს, მაროკოელი წარმოშობის ფრანგს, სამუდამო პატიმრობა მიესაჯა საფრანგეთში სასამართლო პროცესის შემდეგ, პარიზის ტერაქტებში მონაწილეობისთვის. მას ბელგიაში გაასამართლებენ 2016 წლის ამრტის თავდასხმებში სავარაუდო მონაწილეობისთვის, რომელიც იმავე უჯრედმა განახორციელა. ბელგიაში ეროვნულ აეროპორტსა და ბრიუსელის მეტროსადგურში მომხდარ თავდასხმებზე, რომლებსაც 32 ადამიანი ემსხვერპლა, პასუხისმგებლობა დაეშმა აიღო და ეს მოხდა აბდესლამის დაკავებიდან ოთხი დღის შემდეგ. აბდესლამი, რომელიც დაიბადა ბელგიაში და ცხოვრობდა ბრიუსელში, პარიზის სამხრეთით მდებარე ფლერი-მეროგის ციხიდან ბელგიის იტრეს ციხეში გადაიყვანეს, ბელგიის დედაქალაქსა და შარლერუას შორის. იგი ციხეში დარჩება სასამართლო პროცესამდე, რომელიც 10 ოქტომბერსაა დაგეგმილი. მას საფრანგეთში 30 მაისს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს 30 წლის შემდეგ პირობითი გათავისუფლების მხოლოდ მცირე შანსით, რაც საფრანგეთის კანონმდებლობით ყველაზე მკაცრი სასჯელია. მისი სასამართლო პროცესი ყველაზე დიდი იყო საფრანგეთის თანამედროვე ისტორიაში. აბდესლამს განაჩენი არ გაუსაჩივრებია.

შვედეთი

შვედეთის პროკურორებმა ორშაბათს განაცხადეს, რომ გასულ კვირას პოლიტიკურ ფესტივალზე ქალის მკვლელობა გამოძიებული იქნება, როგორც ტერორისტული დანაშაული. მამაკაცი დააკავეს მას შემდეგ, რაც ქალი დანით მოკლეს კუნძულ გოთლანდის პოლიტიკურ ფესტივალზე, რომელიც სექტემბერში სახალხო არჩევნების წინ გაიმართა. პროკურორებმა გასულ კვირას განაცხადეს, რომ როგორც ჩანს, ეჭვმიტანილი მარტო მოქმედებდა და მიზნად ისახავდა ამ ქალის მოკვლას. შვედეთის პროკურატურამ ორშაბათს განაცხადა, რომ მამაკაცი ახლა ეჭვმიტანილია „ტერორისტულ დანაშაულში მკვლელობის გზით“ და ტერორისტული დანაშაულის მომზადებაში მკვლელობის მომზადების გზით. ხელისუფლებამ დასძინა, რომ საქმეში სხვა ეჭვმიტანილი არ არის.

პოლონეთი

პოლონეთის დედაქალაქის პროკურორებმა ოთხშაბათს განაცხადეს, რომ 31 წლის მამაკაცს ემუქრება ბრალის დადება ვარშავაში მრავალი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საარტილერიო ჭურვის გამოყენებით საფრთხის შექმნის გამო. პოლონეთის უმაღლესმა ეროვნულმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ის ამ საქმეს განიხილავს, როგორც ტერორისტულ აქტს, რადგან საფრთხე ემუქრებოდა ხალხის დიდ რაოდენობას და ინციდენტი მოიცავდა ასაფეთქებელს. მამაკაცი, რომელიც იდენტიფიცირებულია, როგორც ლუკაშ კ., ოთხშაბათს დაიკითხა და მას რვა წლამდე პატიმრობა ემუქრება. გარდა ამისა, მას ბრალი ედება 80 მმ-იანი საარტილერიო ჭურვის უკანონო ფლობაში. ოთხშაბათს მან ჭურვი მოათავსა ვარშავის ცენტრში, ხალხმრავალ ქუჩაზე, სადაც შეკრებას 300-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა და ობიექტი არ აფეთქებულა.

ახლო აღმოსავლეთი

შეერთებულმა შტატებმა ორშაბათს განაცხადა, რომ კვლავ ითხოვს იორდანიაში მყოფი პალესტინელი ქალის ექსტრადირებას, რომელიც 2001 წელს იერუსალიმში სუიციდურ ტერორისტულ აქტში მონაწილეობისთვის იყო გასამართლებული. თავდასხმის შედეგად მოკლული ისრაელელ-ამერიკელი გოგოს ოჯახმა ბაიდენთან შეხვედრა მოითხოვა, როდესაც ა.შ.შ-ს პრეზიდენტი კვირის ბოლოს ისრაელს ესტუმრება. მსხვერპლის ოჯახის წევრებს სურთ, რომ ბაიდენმა იორდანიას, რომელიც ამერიკის ახლო მოკავშირეა მოსთხოვოს, რომ აფლამ თამიმი ა.შ.შ-ში სასამართლო პროცესზე გაიგზავნოს. „გთხოვთ, მიუდგეთ ამ საქმეს ისე, როგორც მხოლოდ შეერთებული შტატების ლიდერს შეუძლია“, - წერენ წერილში ფრიმეტ და არნოლდ როტები, მალკი როტის მშობლები, რომელიც 15 წლის იყო, როცა ის თავდასხმაში დაიღუპა. როთები თამიმის ექსტრადიციისთვის კამპანიას აწარმოებენ მას შემდეგ, რაც ის ისრაელმა 2011 წელს ჰამასის მებრძოლ ჯგუფთან პატიმრების გაცვლის შედეგად გაათავისუფლა და მშობლიურ იორდანიაში გაგზავნა, სადაც ის თავისუფლად ცხოვრობს და ცნობილი სახეა მედიაში. „აშშ-ის მთავრობა აგრძელებს მისი ექსტრადიციის მოთხოვნას და იორდანიის მთავრობას

დახმარებას, რათა პასუხისგებაში იყოს მისი როლი სასტიკ თავდასხმაში“, - განაცხადა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ ორშაბათს.

თურქეთი

ქურთისტანის მუშათა პარტიის ტერორისტმა, რომელიც ჩაბარდა თურქეთის უსაფრთხოების ძალებს ოპერაცია „ერენ ბლოკადა-2“-ის დროს ჰაკარის პროვინციაში, აღიარა, რომ „უფროსი“ ტერორისტი მოკლულია, რამაც ბევრ სხვა ტერორისტში პანიკა გამოიწვია. თავის ჩვენებაში, არაიდენტიფიცირებულმა ტერორისტმა განაცხადა, რომ PKK-ის მთავარი ტერორისტი რიდვის ალკანი, კოდური სახელით „ბაგერ ერდალი“, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს ძებნილთა სიის წითელ კატეგორიაშია, მოკლეს კონრტერორისტულ ოპერაციაში. მან დაამატა, რომ ალკანის სიკვდილი გასაიდუმლოებული იყო სხვა ტერორისტებისგან, რათა თავიდან აერიდებინათ პანიკა და რღვევა ორგანიზაციაში. ალკანი იმ რვა ტერორისტს შორის იყო, რომელიც დაიღუპა 2021 წლის 19 აგვისტოს იუქსეკოვას რაიონში ჩატარებული კონტრტერორისტული ოპერაციის დროს, განაცხადა ჩაბარებულმა ტერორისტმა.

ლიბანი

დიპლომატები, სამართალდამცავი ოფიცრები და დაზვერვის ექსპერტები ისრაელიდან, საუდის არაბეთიდან, სპარსეთის ყურის ოთხი სხვა სახელმწიფოდან და კიდევ 2 ათეული ქვეყნიდან შეიკრიბნენ ივნისის ბოლოს ორდღიან შეხვედრაზე, რომელიც ორგანიზებული იყო აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. შეხვედრა ეხებოდა ჰეზბოლას უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლას. 2014 წელს შექმნილი სამართალდამცავი ძალების საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრა აშს-ს ხელმძღვანელობით განხორციელებული იმ ძალისხმევის ნაწილი იყო, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნების მობილიზებას ლიბანის გარეთ ჰეზბოლას ქმედებების წინააღმდეგ, რათა დაიბლოკოს მისი ტერორის, დაფინანსებისა და შესყიდვების ქსელები. 29-30 ივნისს 30 ქვეყნის წარმომადგენელი დაესწრო შეხვედრას, რომელიც ევროპაში გაიმართა და პირველი მსგავსი შეხვედრა იყო პრეზიდენტ ბაიდენის მიერ თანამდებობის დაკავების შემდეგ. წყაროების მიხედვით, შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ოფიციალურმა პირებმა ბაჰრეინიდან, ისრაელიდან, ქუვეითიდან, კატარიდან, საუდის არაბეთიდან, არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, ევროპის, აფრიკის და ლათინური ამერიკის მრავალი ქვეყნიდან.

სირია

აშშ-ს სამხედროებმა სამშაბათს სირიაში დრონით თავდასხმა განახორციელეს, რომლის შედეგადაც, ოფიციალური პირების თქმით, მოკლულია დაეშის უმაღლესი რანგის მეთაური. ეს დარტყმა გასულ თვეში ამერიკის მესამე ძირითადი კონტრ-ტერორისტული ოპერაციაა სირიის ჩრდილო-დასავლეთში. თეთრი სახლისა და სამხედროების ცენტრალური სარდლობის განცხადებების თანახმად, თავდასხმის

შედეგად მოკლულია მაჰერ ალ-აგალი, დაეშის სირიის განშტოების ლიდერი და მსოფლიოს მასშტაბით ამ ტერორისტული ორგანიზაციის უმაღლესი რანგის ხუთი ლიდერიდან ერთ-ერთი. ასევე, სერიოზულად დაშავდა კიდევ ერთი ბოევიკი. ალ-აგალი პასუხისმგებელი იყო „დაეშის ქსელების აგრესიულ განვითარებაზე ერაყისა და სირიის გარეთ“. აღნიშნეს სამხედროებმა. როგორც პრეზიდენტმა ბაიდენმა თქვა, მისი სიკვდილით სირიაში კიდევ ერთი წამყვანი ტერორისტი გადის საბრძოლო ველიდან და მნიშვნელივნად მცირდება დაეშის შესაძლებლობები დაგეგმვის, რესურსების მოპოვებისა და ოპერაციების განხორციელების კუთხით რეგიონში. „ეს მძლავრ მესიჯს უგზავნის ყველა ტერორისტს, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენს სამშობლოსა და ინტერესებს მთელ მსოფლიოში“ - დასძინა მან. დრონის აღნიშნული დარტყმა სირიაში დაეშისა და ალ-კაიდას წინააღმდეგ ამერიკული სამხედრო ოპერაციების სერიებიდან უახლესი იყო. მსგავსი თავდასხმები შედარებით გაიშვიათდა 2019 წლის შემდეგ, რაც დაეშის ე.წ. ხალიფატი დაეცა.

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა (SDF) სამშაბათს ჩრდილო-აღმოსავლეთ ჰასაკაში პროვინციაში დაეშის 17 ეჭვმიტანილის დაკავება გამოაცხადეს. SDF-მ განაცხადა, რომ დააკავა ISIS-ის 12 ეჭვმიტანილი ჰასაკაჰში, ალ-ჰოლში, თალ ჰამისში, ტალ ბრაკსა და დერიკში საერთაშორისო უსაფრთხოების ძალებთან (Asayish) კოორდინაციით. ოპერაციის დროს მათ დიდი ოდენობით საბრძოლო მასალა და იარაღი ამოიღეს. „დაეშის ტერორისტული ორგანიზაცია ცდილობს ისარგებლოს თურქეთის ოკუპანტი სახელმწიფოს მიერ ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ სირიის წინააღმდეგ წამოწყებული მუქარით“, - ნათქვამია SDF-ის მედია ცენტრში. მაისიდან მოყოლებული, თურქეთმა არაერთხელ განაცხადა, რომ მზად არის სამხედრო ოპერაცია განახორციელოს ჩრდილოეთ სირიაში. მიუხედავად ამისა, SDF აგრძელებს ოპერაციებს ISIS-ის ეჭვმიტანილთა წინააღმდეგ აშშ-ს კოალიციის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით.

სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური წარმომადგენლის მიხედვით, არასირიელი მებრძოლების დიდი რაოდენობა, რომელიც ამჟამად დაკავებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ სირიაში, ნაკლებ საფრთხეს შეუქმნის გლობალურ უსაფრთხოებას, თუკი დაბრუნდებიან თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში, მათ შორის, აშშ-ში, ვიდრე დარჩებიან სირიაში. ახლო აღმოსავლეთის ინსტიტუტთან ოთხშაბათს საუბრისას, სახელმწიფო დეპარტამენტის კონტრტერორიზმის საკითხებში კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებელმა ტიმოთი ბეტსმა თქვა, რომ რეგიონში, დაახლოებით, 4000-დან 5000-მდე არასირიელი მებრძოლია დაკავებული, ხოლო მათი ოჯახის ათიათასობით წევრი დევნილთა ბანაკებშია განთავსებული. ეს რიცხვები მიუთითებს უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარულ სერიოზულ საფრთხეზე რეგიონისთვის და გლობალური საზოგადოებისთვის. ბეტსმა აღნიშნა, რომ ეს არის „რთული“ სიტუაცია, რომლის მოგვარებაც მარტივად შეუძლებელია, მაგრამ ამ ადამიანების დაბრუნება სამშობლოებში საუკეთესო ვარიანტია. ეს მოიცავს იმ ადამიანებსაც, რომლებიც იბრძოდნენ დაეშისთვის.

სირიის დემოკრატიულმა ძალებმა (SDF) ოთხშაბათს განაცხადეს, რომ მათ მიზანში ამოიღეს დაეშის ორი წევრი დეირ ეზ-ზორში. „სირიის დემოკრატიული ძალების სპეციალურმა ქვედანაყოფებმა საერთაშორისო კოალიციის ძალების საჰაერო და საველე მხარდაჭერით გუშინ ჩაატარეს უსაფრთხოების ზუსტი ოპერაცია სოფელ ალ-ზირში, ქალაქ ალ-ბუსაირაში, დეირ ეზორის აღმოსავლეთით“. დაეშის ერთ-ერთი წევრი

ჩაბარებაზე უარის თქმის დროს მოკლეს, მეორე კი დააკავეს. „ოპერაციის მიზანი იყო დაეშის ორი წევრი, რომლებიც პასუხისმგებელნი იყვნენ ახალი ტერორისტების რეკრუტირებაზე, ტერორისტული უჯრედებისთვის თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობების დამზადებაზე და დეირ ეზზორში ჩვენი ძალების წინააღმდეგ ტერორისტული თავდასხმების განხორციელებაზე“ - აღნიშნა SDF-მა. მათ ასევე განაცხადეს, რომ ოპერაციები აშშ-ს ხელმძღვანელობით არსებული კოალიციის მხარდაჭერით გაგრძელდება დაეშის წინააღმდეგ, რათა უზრუნველყოს დაეშის დამარცხება. ასევე სამშაბათს SDF-მ განაცხადა, რომ დააკავეს დაეშის 12 ეჭვმიტანილი ჰასაკაჰში, ალ-ჰოლში, ტალ ჰამისში, ტალ ბრაკსა და დერიკში საერთაშორისო უსაფრთხოების ძალებთან (Asayish) კოორდინაციით.

ისრაელი

ჰეზბოლას ჯგუფის ლიდერი ოთხშაბათს დაემუქრა ისრაელს სამხედრო ესკალაციით, თუკი ისრაელსა და ლიბანს შორის სადავო საზღვაო საზღვრის შესახებ მომავალი შეთანხმება ლიბანის სასარგებლოდ არ გადაწყდება. საიედ ჰასან ნასრალამ სატელევიზიო გამოსვლაში თქვა, რომ ლიბანს უნდა შეეძლოს ნავთობისა და გაზის მოპოვება ლიბანის წყლებში. მისი გაფრთხილება მოიცავდა ამ თვის დასაწყისში ხმელთაშუა ზღვაში კაშირის გაზის საბადოზე უიარაღო დრონების გაგზავნის მუქარას, რაც იქნებოდა „მოკრძალებული დასაწყისი იმისა, რისკენაც ვითარება შეიძლება განვითარდეს“. 2 ივლისს ისრაელის სამხედროებმა განაცხადეს, რომ ისრაელმა ჩამოაგდო სამი დრონი. მოგვიანებით ჰეზბოლამ განაცხადა, რომ ისინი უიარაღოდ იყვნენ სადაზვერვო მისიაში გაგზავნილნი, „მისია შესრულდა და შეტყობინებაც მიღებულ იქნა“ - ნათქვამია მათ განცხადებაში. ისრაელი და ჰეზბოლა 2006 წლის ზაფხულში ერთი თვის განმავლობაში იბრძოდნენ ერთმანეთთან. ისრაელი ირანის მიერ მხარდაჭერილ ამ ლიბანურ ჯგუფს ყველაზე სერიოზულ საფრთხედ მიიჩნევს და მათი შეფასებით, ჰეზბოლას აქვს დაახლოებით, 150 000 სარაკეტო იარაღი, რომელიც მიმართულია ისრაელზე. ნასრალამ აღნიშნა, რომ დრონების ძირითადი გზავნილი ნიშნავდა იმას, რომ ჰეზბოლა სერიოზულადაა განწყობილი ამ საკითხისადმი და არა ფსიქოლოგიურ ომს, არამედ რეალური ნაბიჯების გადადგმას აპირებენ. ასევე, მან დასძინა, რომ ლიბანის ოფიციალურმა პირებმა უნდა ისარგებლონ მისი ჯგუფის სიძლიერით და გამოიყენონ არაპირდაპირ მოლაპარაკებებში.

ირანი

ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის (IRGC) განცხადებით, IRGC-ს ძალებმა გაანეიტრალეს ტერორისტული უჯრედი სალმასში, თურქეთის საზღვართან. IRGC- მ გამოაქვეყნა განცხადება, რომ სახმელეთო ძალებმა, რომელთაც ერაყის რეგიონში თურქეთთან და ქურთისტანთან სასაზღვრო სამკუთხედის დაცვა ევალებოდათ, ტერორისტული უჯრედის განადგურება სათანადო მონიტორინგის შემდეგ მოახერხეს. განცხადებაში ნათქვამია, რომ ტერორისტული უჯრედი მიზნად ისახავდა ქვეყანაში შესვლასა და საბოტაჟის მოწყობას, თუმცა სასაზღვრო რაიონში მდებარე საიდ ალ შუჰადას ბაზის ოფიცრებმა თავდასხმამდე მათთვის ჩასაფრება მოახერხეს,

ჩამოართვეს სამხედრო აღჭურვილობა და საბრძოლო მასალა. განცხადებაში საუბარი არ არის ისლამური რევოლუციის კორპუსის დანაკარგების შესახებ. ირანში ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციის Hengaw-ის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ისლამური გვარდიის კორპუსის სულ მცირე ოთხი წევრი დაიღუპა ქურთისტანის მუშათა პარტიასთან (PKK) სამხედრო შეტაკებისას. ქურთული ვებგვერდების განცხადებით შეტაკება ხუთშაბათს საღამოს, სალმასის მთებში მოხდა. უნდა აღინიშნოს, რომ ირან-ქურთული ოპოზიციის ერთგული ჯგუფები საკმაოდ აქტიურები არიან ირანის, თურქეთისა და ერაყის ქურთისტანს შორის არსებულ ტერიტორიაზე.

პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ისრაელის ტელევიზიასთან ინტერვიუში თქვა, რომ ირანის ელიტარული სამხედრო დანაყოფი დარჩება აშშ-ს მიერ ტერორისტულ ჯგუფად დასახელებული, მაშინაც კი, თუ ამის გამო ვერ უზრუნველყოფენ მრავალეროვნულ შეთანხმებას ირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვასთან დაკავშირებით. მან ასევე თქვა, რომ არ გამორიცხავს აშშ-ს სამხედრო ქმედებებს, რათა ირანს ხელი შეუშალოს ბირთვული იარაღის მიღებაში, „თუ ეს უკანასკნელი გამოსავალი იქნება“. ირანმა მოითხოვა ტერორისტული ორგანიზაციების სიიდან სამხედრო დანაყოფის ამოღება, რამდენადაც ბირთვული შეთანხმების შესახებ მოლაპარაკებები შეჩერებულია. მაგრამ ბაიდენმა თქვა, რომ გააგრძელებს მცდელობას, რომ დაუბრუნდნენ ამ შეთანხმებას, მიუხედავად ისრაელის მთავრობის წინააღმდეგობისა. „ერთადერთი, რაც ახლა არსებობს ირანზე უარესი, არის ირანი ბირთვული იარაღით“ - თქვა აშშ-ს პრეზიდენტმა. „ვთლი, ძალიან დიდი შეცდომა იყო ბოლო პრეზიდენტის მიერ შეთანხმებიდან გასვლა. ისინი ახლა უფრო ახლოს არიან ბირთვულ იარაღთან, ვიდრე ადრე იყვნენ“. ყოფილმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა გააუქმა ირანთან ბირთვული შეთანხმება, რომელსაც პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და მსოფლიოს სხვა ლიდერებმა მიაღწიეს.

ბურკინა ფასო

ხუთი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპა ეჭვმიტანილი ჯიჰადისტების თავდასხმისას ბარსალოგოში, ჩრდილოეთ ბურკინა-ფასოში, სამხედრო რაზმზე, განაცხადა არმიამ. „კვირას დილით, ბარსალოღოში, ჩრდილო-ცენტრალურ რეგიონში, სამხედრო რაზმის ელემენტებს შორის დაიწყო ბრძოლა“ და შეიარაღებულ ტერორისტულ ჯგუფს შორის, რომელიც ჩამოვიდა რაზმის თავდასხმისთვის. ამავდროულად, ტერორისტთა კიდევ ერთმა ჯგუფმა დაუმიზნა მშვიდობიან მოსახლეობას“, - ნათქვამია სამხედროების განცხადებაში. დაღუპულთა რიცხვი იყო „ხუთი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის ერთი ბავშვი“, ასევე „რვა დაჭრილი ჯარისკაცი, რომლებიც ევაკუირებულები იყვნენ და მკურნალობდნენ“, განაცხადა არმიამ. თავდამსხმელების დასაკავებლად საჰაერო და სახმელეთო ოპერაციები მაშინვე დაიწყო „და განხორციელდა რამდენიმე საჰაერო დარტყმა ჯგუფებზე, რომლებიც ცდილობდნენ უკან დახევას ტერორისტულ ბაზაზე, რომელიც მდებარეობს ბანგმიოგუში, ბარსალოგოს მახლობლად“, არმიის ცნობით, რომელიც აცხადებდა, რომ „რამდენიმე ტერორისტი განეიტრალდა და განადგურდა ლოჯისტიკური ბაზა. ფრანგული ძალები „ბარხანე“ რეგულარულად უწევენ საჰაერო მხარდაჭერას ბურკინაბის სამხედრო ოპერაციებს. მისი მეზობლების ნიგერისა და მალის მსგავსად, ბურკინა-ფასო 2015 წლიდან მოყოლებული ძალადობის სპირალშია

მოქცეული, რაც მიეკუთვნება ალ-ქაიდას და ისლამურ სახელმწიფოსთან დაკავშირებულ შეიარაღებულ ჯიჰადისტურ მოძრაობებს, რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და 1,9 მილიონი დევნილი გახადა.

ტოგო

ჩრდილოეთ ტოგოში ღამით აფეთქების შედეგად შვიდი ადამიანი დაიღუპა და ორი დაშავდა. ყველა მსხვერპლი 14-დან 18 წლამდე ასაკის იყო, თქვა სამედიცინო წყარომ დაპაონგის რეგიონული საავადმყოფოდან. აფეთქება მოხდა სოფელ მარგბაში, ჩრდილოეთ სავანეს რეგიონში, სადაც ტოგომ გასულ თვეში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა გაზრდილი დაუცველობის გამო. მაისში, რვა ჯარისკაცი დაიღუპა იმავე რეგიონში, რაც ითვლებოდა, რომ ეს იყო მეზობელი ბურკინა-ფასოდან ისლამისტური ძალადობის პირველი მომაკვდინებელი აქტი, სადაც ალ-კაიდასთან და დაეშთან დაკავშირებული ჯგუფები ხშირად ახორციელებენ თავდასხმებს. დაწვრილებით ადგილობრივმა მედიამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდები ღამით სახლში ბრუნდებოდნენ მუსლიმური დღესასწაულის ეიდ ალ-ადჰას ზეიმიდან, როცა მოკლეს. "დაიწყო გამოძიება ამ აფეთქების გარემოებების გასარკვევად და დამნაშავეების იდენტიფიცირებისთვის", - ნათქვამია არმიის მეთაურის დაჯა მაგანავეს განცხადებაში.

ტოგოს ხელისუფლება მუშაობს იმისთვის, რომ მათი პატარა, დასავლეთ აფრიკის ერი არ გახდეს რეგიონის შემდეგი ქვეყანა, რომელიც ებრძვის ძალადობრივ ისლამისტურ აჯანყებას. შაბათის მომაკვდინებელი აფეთქება შეიძლება გახდეს გარდამტეხი წერტილი, თუკი დადასტურდება, რომ დაღუპული შვიდი არასრულწლოვანი კონფლიქტის პირველი სამოქალაქო მსხვერპლი იყო. ტოგოს სამხედროებს არ დაუდასტურებიათ მიზეზი, მაგრამ ადგილობრივი მედიის ცნობით, ახალგაზრდები დაიღუპნენ ხელნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის აფეთქების შედეგად. ტოგოს ხელისუფლება ასევე შეშფოთებულია იმით, რომ ისლამისტები იწვევენ უკმაყოფილო ახალგაზრდებს შიდა ტერორიზმისთვის. სწორედ ამიტომ, ხელისუფლებამ შექმნა მინისტრთაშორისი კომიტეტი ძალადობრივი ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციისთვის (CIPLEV).

კონგო

შაბათს, 9 ივლისს, დაეშის საინფორმაციო სააგენტოს ტელეგრამის არხზე გამოქვეყნებული განცხადების მიხედვით, დაჯგუფებამ პასუხისმგებლობა აიღო წინა კვირას, 7 ივლისს, კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ლუმაში, საავადმყოფოზე მომხდარ თავდასხმაზე. გასულ კვირას, კონგოში, ჩრდილოეთ კივუს პროვინციაში, ლუმაში, ამბოხებულები თავს დაესხნენ საავადმყოფოს და მოკლეს სულ ცოტა 13 ადამიანი, მათ შორის ჩვილები და პაციენტები, საავადმყოფოს ოფიციალური პირებისა და სამხედროების განცხადებით. კონგოს არმიამ განაცხადა, რომ სამი თავდამსხმელი სამხედროების ჩარევის დროს დაიღუპა. გარდა ამისა, რეგიონში ყველაზე დიდ სამედიცინო ცენტრზე თავდასხმის შედეგად საავადმყოფოს ზოგიერთი პერსონალი დაიკარგა, ხოლო რამდენიმე სახლი დაიწვა. საავადმყოფოს

ხელმძღვანელმა, კულე ბვენგემ განაცხადა, რომ თავდასხმის შედეგად დაღუპულთა შორის სამი ჩვილი და ოთხი პაციენტია. საავადმყოფოზე თავდასხმის მიზეზი უცნობია. ახლომდებარე სოფელ კიდოლოში კიდევ ოთხი ადამიანი მოკლეს მაჩეტებით და დახვრიტეს, სავარაუდოდ, იმავე თავდასხმის ფარგლებში. ჩრდილოეთ კივუს სამხედრო სპიკერი, ენტონი მუალუშაი თავდაპირველად აცხადებდა, რომ თავდამსხმელები დიდოს ჯგუფის მაი-მაის მილიციის წევრები იყვნენ. მისი თქმით, მოკლული თავდამსხმელების გარდა, მომხდარი შეტაკებების დროს ტყვედ აიყვანეს ერთი ადამიანი. ადგილობრივი სამოქალაქო ჯგუფები კი თავდასხმაში უგანდაში დაფუძნებულ მოკავშირე დემოკრატიულ ძალებს (ADF) მეამბოხეებს ადანაშაულებდნენ. ADF-ის მეამბოხეები ათწლეულების განმავლობაში აქტიურობდნენ აღმოსავლეთ კონგოში და 2013 წელს, მას შემდეგ რაც რეგიონში კიდევ ერთხელ გამოჩნდნენ, ათასობით ადამიანი მოკლეს.

ეჭვმიტანილმა ისლამისტმა ბოევიკებმა სამშაბათს ღამით 7 ადამიანი მოკლეს აღმოსავლეთ კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ქალაქ ბენიზე თავდასხმის შედეგად, განაცხადა ოთხშაბათს არმიის სპიკერმა. არმიამ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მოკავშირე დემოკრატიული ძალების (ADF) წევრები ბენის ცენტრალურ ციხეში შეჭრას გეგმავდნენ და გააგზავნეს ჯარი მათ შესაჩერებლად. ADF-ის მებრძოლებმა განახორციელეს დივერსია რუანგომასა და პაიდას უბნებზე თავდასხმით, სადაც მოკლეს მშვიდობიანი მოსახლეობა და გაიტაცეს სულ მცირე ერთი ადამიანი. ციხეში შეჭრა არმიამ თავიდან აიცილა და თავდამსხმელები ვირუნგას ეროვნულ პარკში გაიქცნენ. ADF არის უგანდური შეიარაღებული ჯგუფი, რომელიც მოქმედებდა აღმოსავლეთ კონგოს უღრან ტყეებში ათწლეულების განმავლობაში.

ეჭვმიტანილმა მეამბოხეებმა მოკლეს სულ მცირე ცხრა ადამიანი აღმოსავლეთ კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ორმაგი თავდასხმის შედეგად. სამშაბათ ღამით ჩრდილოეთ კივუს პროვინციის ქალაქ ბენიში თავდასხმას ემსხვერპლა 15 წლის ბიჭი და 90 წლის ქალიც. იმავე ღამეს, ბოევიკებმა ასევე მოკლეს მინიმუმ სამი ადამიანი მეზობელ იტურის პროვინციის სოფელზე თავდასხმისას. მნიშვნელოვანია, რომ ორივე ინციდენტი მოხდა ისეთ ტერიტორიებზე, რომლებიც მდებარეობს კონგოს სამხედრო ბაზასთან ან არმიის შტაბთან ახლოს. ADF აქტიურია, როგორც ჩრდილოეთ კივუში, ისე იტურიში.

რუანდა

სამშაბათს საფრანგეთის სასამართლომ 78 წლის ლორან ბუკიიბარუტას, ყველაზე მაღალი რანგის რუანდელ მსჯავრდებულს, რომელიც საფრანგეთში სასამართლოს წინაშე 1994 წლის გენოციდის გამო წარდგა, 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა. პარიზის სასამართლომ ის გაასამართლა გენოციდისა და კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის, მაგრამ გაამართლა ომის დანაშაულებისა და გენოციდის ბრალდებაში, რამდენადაც არ ჰქონდათ მტკიცებულება, რომ ის იყო მთავარი დამნაშავე. რუანდას პრეზიდენტი პოლ კაგამე აქტიურად ცდილობს, აიძულოს საფრანგეთი და სხვა ქვეყნები, დააპატიმრონ და გაასამართლონ გენოციდში ეჭვმიტანილნი, რომლებიც ჯერ კიდევ თავისუფლებაში არიან ევროპაში.

მოზამბიკი

სამხრეთ აფრიკის ქვეყნები ხუთშაბათს შეთანხმდნენ, რომ გაახანგრძლივონ ჯარების განლაგება მოზამბიკში კიდევ ერთი თვით, რათა დაეხმარონ მას დაეშთან დაკავშირებული ამბოხების წინააღმდეგ ბრძოლაში. ქვეყნები, რომლებიც დაკავშირებულია სამხრეთ აფრიკის განვითარების საზოგადოებასთან (SADC), გასულ წელს შეთანხმდნენ ჯარების გაგზავნაზე მოზამბიკში. მისიის მანდატი პარასკევს უნდა ამოწურულიყო, მაგრამ იგი დროებით გაგრძელდა აგვისტოს შუა რიცხვებში SADC-ის სახელმწიფოთა მეთაურების სამიტამდე, როდესაც განიხილება მისიის პროგრესის უფრო დეტალური ანგარიში. აჯანყება კონცენტრირებულია მოზამბიკის ჩრდილოეთ პროვინციაში, კაბო დელგადოში. მას ათასობით ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა მას შემდეგ, რაც დაიწყო 2017 წელს და ასევე შეაფერხა ბუნებრივი გაზის მრავალმილიარდიანი პროექტები. ამას გარდა, ევროკავშირის დიპლომატიურმა მისიამ მოზამბიკში განაცხადა, რომ ევროკავშირი ქვეყნის არმიას დამატებით 45 მილიონი ევროს ოდენობის ფინანსურ დახმარებას გაუწევს.

სომალი

ოფიციალური პირების თანახმად, სომალის არმიამ დაგეგმილი ოპერაცია ჩაატარა ალ-შაბაბის ბაზების წინააღმდეგ ჰირანის რეგიონსა და მაჰასის რაიონის გარეუბანში. სომალის ნაციონალური არმიის 27-ე დივიზიის წამყვანმა მეთაურმა მოჰამედ მაიორმა ჰასან ბაკაიმ დაადასტურა, რომ ჯარებმა დაიბრუნეს კონტროლი ალ-შაბაბის საყრდენებზე. ადგილობრივ მედიასთან საუბრისას ოფიცერმა თქვა, რომ ოპერაციამ გამოიწვია ალ-შაბაბის მინიმუმ 12 მებრძოლის მკვლელობა და გაანადგურა ძირითადი ბაზა. იმავდროულად, ალ შაბაბს სამხედრო პრეტენზიებზე კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. ბოლო დღეებში სომალის სამთავრობო ძალები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ახორციელებენ გაძლიერებულ სამხედრო ოპერაციებს ცენტრალური რეგიონის რამდენიმე რაიონში.

ავღანეთი

ავღანეთში თალიბები მას შემდეგ, რაც გასულ ზაფხულს ქაბული აიღეს, გამუდმებით ცდილობენ მეზობელი ქვეყნების დარწმუნებას, რომ ავღანეთი ღიაა ბიზნესისთვის და მათ ინვესტიციების დაცვის უნარი შესწევთ. არსებულ პროცესს, განსაკუთრებით გაყიდვების საქმეს ართულებს დაეში. მაგალითისთვის, ტაშკენტის სწრაფვა ავღანეთის მასშტაბით რკინიგზის ასაშენებლად, რომელიც უზბეკეთს პაკისტანის პორტებთან, ხოლო ცენტრალურ აზიას ახალ ბაზრებთან დააკავშირებდა. ბოლო თვეების განმავლობაში, ავღანეთისა და უზბეკეთის მაღალი თანამდებობის პირები განიხილავდნენ ამ პროექტის ირგვლივ კვლევის ჩატარებას. გავრცელებული ინფორმაციით, არსებული ინიციატივით მსოფლიო ბანკიც დაინტერესდა. თალიბანი უსაფრთხოების გარანტიებს იძლეოდა, თუმცა დაეშის ხორასნის პროვინციის (ISKP)

ძალები აცხადებენ, რომ ისინი უკან არ დაიხევენ ამ პროექტზე მომუშავე ნებისმიერი ადამიანის მკვლელობისგან. ISKP რკინიგზის პროექტს აღიქვამს, როგორც არამუსლიმთა მზაკვრულ სქემას ავღანეთის თანამედროვე სამყაროში შეყვანის მიზნით- „ხალიფატის მოჯაჰედები არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ ისლამის მტრებს ამ მზაკვრული გეგმის განხორციელების უფლებას “. Al-Azaim ISKP Media Foundation-მა და Voice of Khorasan-მა გაავრცელეს ორი უზბეკური ხმოვანი განცხადება , სადაც იმავე თვეში უზბეკეთის საზღვარზე მომხდარ თავდასხმას აღნიშნავდნენ და გმობდნენ რკინიგზის პროექტს.

ინდოეთი

სამშაბათს საღამოს ინდოეთის ქალაქ სრინაგარში ბოევიკების თავდასხმის შედეგად პოლიციელი დაიღუპა და ორი დაიჭრა. „ტერორისტებმა ცეცხლი გაუხსნეს პოლიციის ნაკა ნაწილს ქალაქ სრინაგარის ლალ ბაზარის რაიონში. დაშავებულია სამი პოლიციელი, რომლებიც საავადმყოფოში არიან გადაყვანილი“, - აცხადებენ შსს-ში. ერთ-ერთი დაშავებული პოლიციელი, რომელიც იდენტიფიცირებულია როგორც ქვეინსპექტორის თანაშემწე მუშტაქ აჰმედი, მიყენებულ დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. მათი თქმით, დანარჩენ ორ დაშავებულს მკურნალობენ. ქაშმირში გაძლიერებული უსაფრთხოების ზომებია მიღებული ამარნათ იატრას გამო. ჰაბბალის გადაკვეთა, რომელიც თავდასხმის ადგილიდან სულ რაღაც 2,5 კილომეტრშია, არის ერთ-ერთი მთავარი მარშრუტი მომლოცველებისთვის, რათა ცენტრალურ ქაშმირის განდერბალის რაიონში, ბალტალის ბანაკამდე მივიდნენ.